საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№657 2016 წლის 18 აპრილი ქ. თბილისი

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „აღმასათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „აღმას“ შორის გასაფორმებელი ნასყიდობის ხელშეკრულების პროექტის მოწონების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივნისის №1331 განკარგულებაში ცვლილებების შეტანისა და შპს „აღმას“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 14 აპრილის №616 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლებისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „აღმასათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „აღმას“ შორის გასაფორმებელი ნასყიდობის ხელშეკრულების პროექტის მოწონების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივნისის №1331 განკარგულებაში ცვლილებების შეტანისა და შპს

„აღმას“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 14 აპრილის №616 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შედეგი რედაქციით:

„გ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ უძრავ ქონებაზე „Grade-A“ კატეგორიის, არანაკლებ 10 000 კვ.მ სამშენებლო ფართის მქონე, საოფისე შენობის აშენება/შექმნა 2019 წლის 16 დეკემბრამდე შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

გ.ა) ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესასრულებლად საჭირო ყველა ნებართვისა და ლიცენზიის მოპოვება 2018 წლის პირველ ოქტომბრამდე;

გ.ბ) სამშენებლო სამუშაოების დაწყება 2018 წლის პირველ ნოემბრამდე;

გ.გ) მშენებლობის დასრულება და დასრულების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტ(ებ)ის მოპოვება 2019 წლის 16 დეკემბრამდე;“;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს „აღმა“ გათავისუფლდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „აღმას“ შორის 2015 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან.“.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო

ქონების ეროვნულმა სააგენტომ ამ განკარგულების შესრულების მიზნით, ამ განკარგულების გამოცემიდან კანონმდებლობით განსაზღვრულ 3 (სამი) თვის ვადაში უზრუნველყოს შპს „აღმასთან“ შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმება.

3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაუფორმებლობის შემთხვევაში განკარგულება ძალას კარგავს.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი